

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ორგანული ქიმია (1 ვაკანსია-პროფესორი);
- 2.2. ქიმია (1 ვაკანსია- პროფესორი);
- 2.3. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია (1 ვაკანსია- პროფესორი);
- 2.4. სატყეო საქმე (2 ვაკანსია-პროფესორი);
- 2.5. მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმია (1 ვაკანსია- პროფესორი; 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.6. კვების ტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი; 1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.7. სატყეო საქმე; ტყის რესურსები; აგრომეტყვეობა (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი);
- 2.8. მიკრობიოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი; 1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.9. არაორგანული ქიმია (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.10. მოლეკულური გენეტიკა (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.11. ბიოქიმია (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი; 2 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.12. მოლეკულური ბიოლოგია (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.13. ბიოლოგია (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი).

3. განცხადებების მიღება იწარმოებს 2020 წლის 14 -18 თებერვლის ჩათვლით.

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/200331263936449>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2020 წლის 19 თებერვლიდან - 2020 წლის 23 თებერვლის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2020 წლის 24 თებერვლიდან - 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge